საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1240
24/02/2023

1240-21-2-202302241544

შპს „ეიჯი ვენჩერს“
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რ-ნი, ს. წავკისი, დავით ჯოხაძის ქ. №26
ელ.ფოსტა: ntskhadaia@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №833 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნუკრიანში სამელიორაციო სისტემისა და 24 500 $მ^3$ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის წარმოდგენის საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის 1.3 და მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტები. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ნაპირის ეროზიისგან დასაცავად წყალმიმღების ზემო და და ქვემო ბიეფის მიმართულებით იგეგმება ქვაყრილის მოწყობა, სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძვლად ასევე მითითებული უნდა იყოს შესაბამისი პუნქტი. ასევე ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია წყალაღების სისტემისათვის დამცავი ქვაყრილის მოწყობა, სკრინინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ნაპირსამაგრის განთავსების წერტილის GPS კოორდინატები;
- წარმოდგენილ დოკუმენტში ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური ცხრილები, ჭრილები და ნახაზები (მათ შორის ნახაზები - 1.1.1; 1.1.2; 1.1.3; 1.1.5; 1.1.11; 2.3.6.1; და ცხრილები - 2.3.1.1; 2.3.1.2; 2.3.2.1; 2.3.3.1; 2.3.5.1; 2.4.1; 2.4.2; 2.4.3; 2.4.4; 2.4.5; 2.4.6; 2.4.7; 2.4.8; 2.4.9) არ არის გარჩევადი;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სამარაგო რეზერვუარის შევსების ჯერადობის შესახებ;
- თქვენ მიერ 20 თებერვალს №1323 წერილით პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ასახული უნდა იქნეს განახლებულ სკრინინგის ანგარიშში;
- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, სამელიორაციო სისტემის სატუმბი სადგური და საპროექტო მილსადენის მცირე მონაკვეთი მდებარეობს იორის აღკვეთილის საზღვრებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სატუმბი სადგური დაიგეგმოს ისე, რომ არიდებული იქნას იორის აღკვეთილის ტერიტორიას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სატუმბი სადგურის განთავსება

სხვაგვარად შეუძლებელია, დაგეგმილი სატუმბი სადგურისა და მილსადენის მშენებლობის სამუშაოების დაწყებამდე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილების - „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე მე-60 მუხლის შესაბამისად, საჭიროა ტერიტორიისათვის განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭება, რისთვისაც სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში წარდგენილი უნდა იყოს ამავე დადგენილების 61-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის ანგარიშში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო